ყარაბაშის
თეჯვიდი

ფაზილეთის გამომცემლობა / 238

ყარაბაშის თეჯვიდი

შემდგენი
ფაზილეთის სამეცნიერო ჯგუფი

ტექნიკური დიზაინი
ფაზილეთის გრაფიკოსთა ჯგუფი

გამომცემლობა და ყდის დიზაინი
ჩამლიჯა სტამბა გამომცემლობის კომპანია
სერთ N: 46592

ფაზილეთის
გამომცემლობა

ISBN: 978-625-8027-32-7

1 გამოცემა სტამბოლი 2023

კავშირი
ბაღლარი, მიმარ სინანის ქუჩა,
სტამბოლი / ბაღჯილარ - გუნეშლი NO: 54
ტელ: 0212 657 88 00

www.fazilet.com.tr
bilgi@fazilet.com.tr

© ამ ნაშრომის ყველა უფლება ჩამლიჯა სტამბა გამომცემლობის კომპანიას ეკუთვნის.

ყარაბაშის
თეჯვიდი

შესავალი

ქება-დიდება უზენაეს ალლაჰს, რომელმაც მორჩილებს შორის ყურანის მემკვიდრეები შეარჩია, მისი თეჯვიდით კითხვა და შესაბამისად მოქმედება უბრძანა.

სალათი და სელამი ჩვენს ძვირფას ფეიღამბერს, მუხამმედ მუსტაფას (ს.ა.ვ.), რომელმაც ყურანი საუკეთესოდ იკითხა და თავის მიმდევრებსაც შეასწავლა. ასევე სალათი და სელამი მის ჭეშმარიტ გზაზე მყოფ ახლობლებსა და სახაბეებს.

სიტყვა თეჯვიდი კარგად და ლამაზად შესრულებას ნიშნავს. ყირაათის მეცნიერებაში კი ასო-ბგერების „ლაზიმი“ და „არიზი“ თვისებების გამოხატვით, თითოეული მათგანის საკუთარი გამოსათქმელი ადგილიდან წარმოთქმაა. შესაბამისად, თეჯვიდი გამოსათქმელი ადგილების მიხედვით ასო-ბგერების სიმაგრეზე, სირბილეზე, ჰარმონიულობაზე და მსგავს თვისებებზე ყურადღების გამახვილებით წაკითხვას ნიშნავს.

სხვა განმარტებით თეჯვიდი მეცნიერებაა, რომელიც ყურანი ქერიმის კითხვას კონკრეტული წესების მიხედვით გვასწავლის. ამიტომ ამ მეცნიერების შესახებ დაწერილი წიგნის სახელიც თეჯვიდია.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „ყურანი თერთილით წაიკითხე.“[1] როდესაც ხზ. ალის თერთილის მნიშვნელობის შესახებ ჰკითხეს, ასე უპასუხა:

“თერთილი ასო-ბგერების თეჯვიდისა და (ყურანში) გასაჩერებელი ადგილების ცოდნაა.“[2]

იმისათვის რომ უკეთ გავიგოთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თეჯვიდი, ერთ ისტორიულ ამბავს გადმოგცემთ:

ხადისის წიგნებს შორის საუკეთესო წიგნის, სახიხი ბუხარის შემდგენი მუხამმედ ბინ ისმაილ ბუხარია (რახ.). როდესაც ძვირფასი ფეიღამბრისგან გადმოცემულ ხადისებს აგროვებდა, ხადისის გადმომცემლების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას იძევდა. თუ გადმომცემლებს შორის კავშირი არ წყდებოდა და უშუალოდ ძვირფას ფეიღამბრამდე აღწევდა, დიდ აბდესს იღებდა და ძვირფას ფეიღამბერს მის შესახებ სულიერ სამყაროში ეკითხებოდა. ხადისი თავის წიგნში

[1] (სურა მუზზემმილი, აიეთი 4)

[2] (ნიჰაიეთულ ყავლი მუფიდი, გვ.18)

მხოლოდ იმ შემთხვევაში შეჰქონდა, თუ ძვირფასი ფეიღამბერი უპასუხებდა: “დიახ, ეგ ნამდვილად ჩემი სიტყვებია.“

ერთხელ "اَلْحَيَآءُ مِنَ الْاِيمَانِ" ,,რიდი რწმენიდანაა”[3] ხადისის შესახებ ჰკითხა, რაზეც ძვირფასმა ფეიღამბერმა (ს.ა.ვ) უპასუხა: „ეგ ჩემი ნათქვამი სიტყვა არ არის.“

ხადისის ტექსტისა და გადმომცემლების შესახებ ინფორმაცია კიდევ უფრო დაწვრილებით მოიძია და ძვირფას ფეიღამბერს ჰკითხა, თუმცა პასუხი კიდევ უარყოფითი იყო. ამის შემდეგ ხადისის შესახებ ინფორმაცია კიდევ უფრო დეტალურად გადაამოწმა. როდესაც დაინახა, რომ ხადისი და გადმომცემლები უტყუარ ინფორმაციას იუწყებოდნენ, მესამედ კიდევ ჰკითხა, თუმცა ამჯერად ხადისი თეჯვიდით და ყურადღებით წაიკითხა.

სიტყვა „اَلْحَيَاء“ გაგრძელებით წაიკითხა, რომელიც მედდი მუთთასილია და არა ნაკლებ, ორი ელიფით უნდა გაგრძელდეს. ალლაჰის ფეიღამბერმა (ს.ა.ვ): „დიახ, ეს ჩემი სიტყვებია“ უპასუხა და აუხსნა, რომ სიტყვა ,,اَلْحَيَاءُ"-ს როდესაც კითხულობდა, საკმარისი რაოდენობით არ აგრძელებდა.

თქვენს ხელთ არსებული ეს მნიშვნელოვანი ნაშრომი ყირაათის დარგში ფასდაუდებელ

[3] (ქუთუბი სითთე.)